პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 87 (10481) | ხუთშაბათი, 12 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ხალხთა ერთიანი მისწრაფება მშვიდობისადმი

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება დოკუმენტები, რომლებიც მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ. ეს დოკუმენტები მოწმობენ მშვიდობისათვის მოძრაობის ახალ აღმავლობას, ხალხთა მზარდ სიფხიზლეს და მათს მტკიცე გადწყვეტილებას არ შეანელონ ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ. ჩვენს დროში არსებობენ მძლავრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც მოეპოვებათ სერიოზული საშუალებანი იმისათვის, რომ არ დაუშვან იმპერიალისტების მიერ ომის გაჩაღება. რაც უფრო აქტიურად დაიცავენ ხალხები მშვიდობას, მით უფრო მეტია გარანტიები, რომ ახალი ომი არ იქნება. მშვიდობის მომხრეთა მძლავრი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ამ ბრძოლაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ, რომელიც სტოკჰოლმში მიმდინარეობდა 5-დან 9 აპრილამდე, განიხილა საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე საჭიბოროტო პრობლემა — შეიარაღების შემცირება და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა.

გამალებული შეიარაღება, ატომური და წყალბადის ბომბების წარმოება იწვევს ახალი გამანადგურებელი ომის საფრთხეს. გამალებული შეიარაღების შეჩერება იმას ნიშნავს, რომ შეიქმნას პირობები საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, გადარჩნენ ხალხები ომის შიშს, უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა.

ახლა სწორედ ამას ესწრაფვის ყველა ხალხი. სწორედ მათი ნება გამოხატა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ, რომელმაც მოუწოდა მშვიდობის ყველა მომხრეს გააძლიერონ ბრძოლა შეიარაღების შემცირებისათვის და ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიაზე წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ეროვნების ხალხები. ზედიზედ ადიოდნენ სესიის საპატიო ტრიბუნაზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა წარმომადგენლები — მშვიდობისათვის მებრძოლები. სხვადასხვა ენასა და კილოკავზე გაისმოდა მგზნებარე სიტყვები, ყველა ორატორს აერთიანებდა წმიდათაწმიდა სიტყვა — „მშვიდობა“. ფრანგი სოციალისტი კოტელიე, ბრაზილიის პარლამენტის დეპუტატი ონასს ბაიენსიე, სესიის ბევრი სხვა მონაწილეც მტკიცედ აცხადებდა, რომ საჭიროა ნდობის აღდგენა ქვეყნებსა და ხალხებს შორის.

მშვიდობის მომხრეთა დამსახურება ის არის, რომ მათ პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ად მიანთა თავისუფალ ურთიერთობასა და კონტაქტებს. მშვიდობის ასამხლეებზე ღია გულით ხვდებოდნენ ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ადამიანები. მათ გამონახეს საერთო ენა და ურთიერთგაგება და მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დაუცხრომელი ბრძოლით გაკაფეს გზა ბანდუნგისა და ჟენევისაკენ. საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისაკენ.

ახლა მშვიდობის ყველა მომხრის პირველხარისხოვანი ამოცანაა ბრძოლა განიარაღებისათვის და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის. სწორედ ამას მიაჯერო მთელი თავისი ყურადღება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის საგანგებო სესიამ.

სესიის საბოლოო სხდომამ ერთხმად მიიღო მოწოდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისადმი. ამ მოწოდებაში უდიდესი ძალით გაისმა სიტყვები:

— **მსოფლიო საზოგადოებრიობა გააძლიერებს თავის სიფხიზლესა და თავის ბრძოლას მანამდე სანამ არ მიაღწევს იმას. რომ მოხდეს საყოველთაო განიარაღება და სავსებით აიკრძალოს ატომური და ატომგულის იარაღის წარმოება და გამოყენება.**

ამ მოწოდების, ისევე როგორც სტოკჰოლმის 1950 წლის მოწოდების, აღმფრთოვანებელი სიტყვები. უეჭველია, ჩასწვდება დედამიწის მრავალ ასეულ მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია მიმდინარეობდა იმ მომენტში, როცა ლონდონში სხდომები აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს. შემთხვევითი როდია, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიის ტრიბუნიდან მრავალი ხმა გაისმა ამ ქვეკომიტეტის მუშაობის მონაწილე მთავრობათა მიმართ. სესიამ დიდი ენთუზიაზმით მიიღო დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ქვეკომიტეტისადმი.

— **საერთაშორისო დაძაბულობის ახლანდელ შენელებას,** — ნათქვამია ამ დეპეშაში, — **საზოგადოებრივი აზრი იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ შეთანხმება შეიძლება მიღწეულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას მიღწეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის ამ სესიაზე, ზოგიერთ საკითხზე მაინც. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს განიარაღების ქვეკომიტეტს გაამართლოს ეს დიდი იმედები.**

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ ერთსულოვნად დაამტკიცა დეკლარაცია ატომის ენერგიის საკითხებზე. ყველა ხალხი, ნათქვამია დეკლარაციაში, უნდა ცდილობდეს, რომ შემოქმედებითი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება სინამდვილე გახდეს შიშისაგან განთავისუფლებულ მსოფლიოში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახლანდელმა სესიამ განიხილა განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემასთან დაკავშირებული ეკონომიური, სოციალური და კულტურული საკითხები. ერთ-ერთმა კომისიამ, რომელიც სესიამ გამოჰყო, ერთსულოვნად აღნიშნა ხაზგასმით, რომ საყოველთაო განიარაღება და ატომის იარაღის აკრძალვა გამოიწვევს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი მორალური, მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დეკლარაციას, რომელიც ეხება ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებს შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაფართოებას. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივ საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად ექნება თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა, შეუძლია უზრუნველყოს საერთაშორისო ნდობა, თანამშრომლობა და მშვიდობა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის საგანგებო სესია დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა. სესიამ გამოხატა ერთიანი მისწრაფება ხალხებისა, რომლებიც მოითხოვენ განიარაღებას და ატომური იარაღის აკრძალვას.

არ შეიძლება, რომ ხალხთა ნებას ანგარიში არ გაეწიოს. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია და მისი გადწყვეტილებანი მოუწოდებენ მშვიდობის ყველა მომხრეს, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ახალი წარმატებებისაკენ კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

სესიის დახურვის წინ არგენტინის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ემილიო გარსია იტურასპემ სამართლიანად თქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახლანდელი სტოკჰოლმის სესია ახალი ეტაპია მშვიდობისათვის მოძრაობაში. მან ყოველგვარი წარმატება უსურვა მრავალ მილიონობით ადამიანს, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მშვიდობის დასაცავად. ამ სურვილებს გულწრფელად შეუერთდება მილიონობით ადამიანი.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც აღჭურვილი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით, დიდი აღფრთოვანებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას. შეუპოვრად იბრძვიან მშვიდობის დიადი საქმისათვის. სსრ კავშირის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს და მხურვალედ დაუჭერს მხარს მის კეთილშობილურ თაოსნობას, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

„პრავდის“ 11/IV მოწინავე.

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ Ტ. ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

მის აღმატებულებას გატონ ნ. ა. ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, გთხოვთ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, შვეციის მთავრობის დელეგაციის სახელით მიიღოთ გულითადი მადლობა იმ დაუვიწყარი დღეების გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირში გავატარეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ვიზიტის დროს დამყარებული პირადი კონტაქტი და აზრთა მეგობრული გაზიარება, რომელიც შვეციისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლებს შორის გაიმართა, ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებას.

ტაგე ერლანდერი.

ლენინგრადი,
1956 წლის 11 აპრილი.

ქართულ ენაზე გამოვიდა ბროშურა „რაზომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?“

სახელგამმა ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა „რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?“.

ბროშურაში შევიდა გაზეთ „პრავდის“ 1956 წლის 28 მარტის სარედაქციო სტატია „რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?“, გაზეთ „პრავდის“ 1956 წლის 5 აპრილის სარედაქციო სტატია „კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით“ და გაზეთ „ენმნინიბაოს“ სარედაქციო სტატია „პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ“.

ბროშურა გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 14 აპრილს.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები კონკრეტული ვალდებულებებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას

★ ★ ★ ★

სიმინდი დიდი შესაძლებლობის კულტურაა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). როგორც პარტიისა და მთავრობის მიმართვაშია ნათქვამი, სიმინდი მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი რეზერვია. ამიტომ რაიონის კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სიმინდის თავის დროზე დათესვას. სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა პირველი გავიდა სიმინდის დასათესავად. პარტიისა და მთავრობის მიმართვის გაცნობისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ლ. დუგლაძემ თქვა: — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვა ახალ ძალასა და ენერგიას გვმატებს. წელს სიმინდს საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დავთესავთ და ჰექტარზე მოვიყვანთ 13 ცენტნერ მოსავალს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა.

გასულ წელს სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის გეგმა. კოლმეურნეები ითვალისწინებენ წლევანდელი გაზაფხულის თავისებურებას, ამცირებენ თესვის ვადებს.

მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ბ. კვანტრიშვილმა იკისრა 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 20 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა.

ᲐᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები დიდი ინტერესით ეცნობიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვას სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი.

სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. ხალვაშმა მიმართვის გაცნობისას თქვა:

— ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს — 1956 წელს მოვიყვანოთ ბარაქიანი მოსავალი, ავამაღლოთ პირუტყვის პროდუქტიულობა, რაც კარგი დასაწყისი იქნება მეექვსე ხუთწლედის მთელი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენ წელს საბჭოთა სახელმწიფოს მივცემთ 85.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, ანუ 4.000 კილოგრამით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. მალე დავიწყებთ სიმინდის თესვას. საამისოდ მზად ვართ. 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 32 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26 ცენტნერისა.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეობის ფერმებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

მაღალი შრომითი ენთუზიაზმი

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი. მექანიზატორები და კოლმეურნეები საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის.

— გასულ წელს, — განაცხადა ნაფარეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. მთვარელიშვილმა, — წინა წელთან შედარებით სამჯერ გადიდეთ მარცვლეული კულტურების მოსავალი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვიძლოს. პარტიისა და მთავრობის მიმართვის პასუხად ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 35 ცენტნერი სიმინდი და 15 ცენტნერი ხორბალი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მივიღოთ ორასი ლიტრი რძე.

ნაფარეულელებმა წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ ფშავლის XVIII პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

ნაფარეულის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა შალვა გობაძემ, რომელიც სიმინდის ყვავრატულ-ბუდობრივად თესვაზე მუშაობს, თქვა:

— მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვა მექანიზატორებს დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ძველებურად მუშაობა ახლა აღარ გამოგვადგება. ვკისრულობ უზრუნველვყო წელს თვითეულ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 10 ცენტნერით მეტი მოსავლის მიღება.

კოლმეურნეები და მექანიზატორები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

საყოველთაო მოწონება

სილნალი. (საკ. კორ.). საგაზაფხულო სამუშაოები მასობრივად გაჩაღდა. გაცხოველებით მიმდინარეობს ვენახებისა და ბაღების დამუშავება, სიმინდისა და მზესუმზირას თესვა, მებოსტნეებმა დაიწყეს ჩითილის გადარგვა.

კოლმეურნეობებსა და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებში ფართოდ ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას. სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში წნორის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის წევრებს მიმართვა გააცნო მტს-ის დირექტორმა ვ. ჯავაშვილმა.

— ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის საწინდარია ნიადაგის საუკეთესო მომზადება და დროზე თესვა კარგი თესლით, — თქვა მესამე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. გურაშვილმა. — ბრიგადა წელს 250 ჰექტარ სიმინდს დათესავს მხოლოდ და მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად. შარშან ჰექტარზე მივიღეთ 17 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო 150 ცენტნერი სასილოსე მასა. ბრიგადის სახელით პირობას ვდებ ვიბრძოლოთ მიმდინარე წელს ჰექტარზე 20 ცენტნერი სიმინდისა და 200 ცენტნერი სასილოსე მასის მოყვანისათვის. ჰექტარი სიმინდის დამუშავებას გავაიაფებთ 7 პროცენტით და დავზოგავთ სამ პროცენტ საწვავს.

მიმართვის გაცნობისას სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბიძინაშვილმა განაცხადა:

— შარშან შრომადღეები უკონტროლოდ იხარჯებოდა, გაბერილი იყო ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი, რაც ზრდიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებას. წელს ასეთ მდგომარეობას აღარ დავუშვებთ. დავზოგავთ 5.092 შრომადღეს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე შარშანდელთან შედარებით წველადობას გავზრდით 150 ლიტრით.

მეტი მარცვლეული სამშობლოს

მარცვლეულის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. ამით აიხსნება, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ მარცვლეული კულტურების განვითარებას. პარტიისა და მთავრობის მიმართვის პასუხად კოლმეურნეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მაღალი მოსავალი მოიყვანონ ნათესთა მთელ ფართობზე.

გასული წლის შემოდგომაზე ჩვენ დავთესეთ 172 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი. ამჟამად ჯეჯილი კარგი სანახავია. შემოდგომის ნათესებს ჩვენ არ მოვაკლებთ ჯეროვან მოვლას.

შევუდექით სიმინდის თესვას. ამ კულტურის სათესი ფართობის ნახევარი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესება. მოსავლიანობის გადიდებაში ძარწმენ კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევენ სტალინირის მტს-ის მექანიზატორები. ჩვენი ვალდებულებაა წელს ჰექტარზე მივიღოთ 20 ცენტნერი პურეული, 35 ცენტნერი სიმინდი, ერთი ცენტნერი მარცვლეულის მიღებაზე დავხარჯოთ 4 შრომადღე ნაცვლად გასულ წელს დახარჯული 6 შრომადღისა.

ლ. გუნდიშვილი,
სტალინირის რაიონის სოფელ ძარწმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

წარმატებით ჩავატარებთ თესვას

ბალი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ენერგიულად იბრძვიან თესვისწინა სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის. სოფელ წარჩის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც გაეცნენ პარტიისა და მთავრობის მიმართვას, გადაწყვიტეს წელს საგრძნობლად გაზარდონ ძვირფასი სამარცვლე და საფურაჟე კულტურის — სიმინდის მოსავლიანობა.

წარჩელებმა შარშან ჰექტარზე 22,5 ცენტნერი სიმინდი მიიღეს და შრომადღეზე 3,2 კილოგრამი მარცვალი გაანაწილეს.

— წელს ჩვენმა კოლმეურნეებმა, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. გუნჯუამ, — ჯერ კიდევ ზამთარში გააჩაღეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა, ახალი მიწების ათვისება და ყველა სახის სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სიმინდის, ჩაის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მიღებას, რძის წარმოების ერთიორად გადიდებას.

კოლმეურნეობაში მიმდინარე წელს სიმინდი 116 ჰექტარზე დათესეს. პარტიისა და მთავრობის მიმართვის პასუხად წარჩელებმა ვალდებულება იკისრეს წელს უზრუნველყონ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდის მიღება.

ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად წარჩელმა კოლმეურნეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა საბრძოლო პროგრამაა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის არ დავიშურებთ ჩვენს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გავაჩაღეთ ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამ მიზნით გადაწყვიტეთ წელს შევქმნათ კომპლექსური ბრიგადები. ამით თავიდან ავიცილებთ შრომადღეების ზედმეტად ხარჯვას.

ვიბრძვით იმისათვის, რომ წელს ჰექტარზე მოვიყვანოთ 16 ცენტნერი ხორბალი, 18 ცენტნერი ქერი, 18 ცენტნერი სიმინდი და 12 ცენტნერი მზესუმზირა. გარდა ამისა, წელს 100 ჰექტარ სიმინდს იმისათვის დავთესავთ, რომ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში დავსილოსოთ, ამდენსავე ფართობზე დავთესავთ სანაწვერალო სიმინდს. მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატარებთ საგაზაფხულო თესვას და მტკიცე საფუძველს ჩავუყრით მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის მაღალ მოსავალს.

ი. ყაზაროვი,
წითელწყაროს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

10 აპრილს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობს 1.800 კაცი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშენებლო მრეწველობის მშენებლობებზე და საწარმოებში. თათბირში მონაწილეობენ აგრეთვე სამუშაოთა მწარმოებელები, სამშენებლო უბნებისა და სამმართველების უფროსები, სამშენებლო ტრესტების მმართველები, სამინისტროებისა და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა გახსნა თათბირი და თქვა, რომ ამ თათბირის მიზანია გამოცდილების გაზიარება, იმ ნაკლოვანებათა მხილება, რომლებიც ხელს უშლიან მუშაობას, იმის თქმა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები.

თათბირის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ წინადადებას — არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

განსახილველია ერთი საკითხი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ახალგაზრდა მშენებელთა ამოცანები. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ვ. ა. კუჩერენკოს.**

მოხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს იმ როლზე, რომელიც ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების პროგრამის განხორციელებაში. მშენებლობაში დასაქმებულია ორ მილიონზე მეტი ახალგაზრდა მუშა, მათ შორის დაახლოებით 380 ათასი კომკავშირელი. ბევრ დიდ მშენებლობაზე ახალგაზრდობა შეადგენს ნუშათა საერთო რიცხვის 60-70 პროცენტს. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაგზავნეს 17 ათასი კომკავშირელი მარტო რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნების მშენებლობაზე და 13 ათასი — კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. 100 ათასზე მეტი ახალგაზრდა ნუშა დასაქმებულია მშენებლობაზე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

მეექვსე ხუთწლედში კაპიტალურ მშენებლობას ხმარდება 990 მილიარდი მანეთი, ანუ 17-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში.

ფინსაკუთრებით გაიზრდება კაპიტალური მშენებლობის მოცულობა ჩვენს ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, ნაგალითად, ციმბირში აშენდება სულ ცოტა 65 და ყაზახეთში დაახლოებით 15 მანქანათმშენებელი საწარმო.

ამხ. კუჩერენკო ეხება მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, რკინაბეტონის წარმოების გადიდების საკითხებს, ჩვენს ქვეყანაში შენდება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების 600-ზე მეტი საწარმო. ახალგაზრდობა, ლენინური კომკავშირი მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და თავრობის მოწოდებას, ახალი ქარხნების აგების პირველი დღეებიდანვე გამოაცხადეს ისინი დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებად. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით 1955 წელს ამუშავდა 450-ზე მეტი ასეთი საწარმო.

ნახსენებაში დიდი ადგილი დაეთმო მშენებელთა შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მეექვსე ხუთწლედში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება უნდა შემცირდეს სულ ცოტა 7 პროცენტით გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით. ეს მოგვცემს დაახლოებით 30 მილიარდ მანეთ ეკონომიას. ღირებულების შემცირება მიღწეულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცებისა და სპეციალიზაციის, ზედნადები ხარჯების შემცირებისა და მასალების ეკონომიის გზით.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება მიაქცია მუდმივი კვალიფიციური კადრებით მშენებლობათა უზრუნველყოფის საკითხს.

ნაკლი დაგმობის ღირსი არიან ის ხელმძღვანელები, რომლებიც ფორმალურად, ბიუროკრატულად ეკიდებიან მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ეჭვი არ არის, ამბობს დასასრულ ამხ. კუჩერენკო, რომ ახალგაზრდა მშენებლები მთელ ძალებსა და ენერგიას მოახმარენ იმას, რომ განახორციელონ ნდობა წინასწარდასახულ ლენინური კომუნისტური პარტიისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

თავმჯდომარე — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ი. ზალუჟნი** კამათში სიტყვას პირველს აძლევს „მოსსტროის“ № 1 ტრესტის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირს ამხ. **ზატვორნიცკის.** იგი ამბობს, რომ გასული წლის ივლისიდან რისმა ბრიგადამ, რომელიც 16 კალატოზის, ხუთი ხუროსა და ექვსი მეტაკელაქისგან შედგება, დაიწყო კომპლექსური მეთოდით მუშაობა. ახალმა ხერხმა უკვე გამოიღო დადებითი შედეგები: გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა ბრიგადის წევრთა ხელფასი, გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი.

სიტყვას ამბობს ლენინგრადის № 19 სამშენებლო ტრესტის მემონტაჟე ამხ. **კრეტინინი.** იგი ამბობს, რომ ტრესტი აშენებს რკინაბეტონის ნაწარმის დიდ ქარხანას. ეს მშენებლობა ჩვენ გადავაქციეთ საცდელ-საჩვენებელ სამონტაჟო მოედნად. ქარხანა შენდება მხოლოდ რკინაბეტონის დეტალებისა და მსხვილი საკედლე ბლოკებისაგან. ლენინგრადის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ამ მშენებლობაზე გაგზავნა საუკეთესო კომკავშირელები, ახალგაზრდობა. მშენებლობა პირველი დღეებიდანვე გამოცხადდა დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობად. ახალგაზრდა მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება ვადამდე — დიდი ოქტომბრის 39-ე წლისთავზე. ჩაიყენონ მწყობრში ქარხნის პირველი რიგი და წლის დამლევისათვის მისცენ ლენინგრადის ახალმშენებლებს 7 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

კიევის მშენებლობებზე მუშაობის ინდუსტრიული მეთოდების გაფართოების, ახალი, უფრო სრულყოფილი მექანიზმების გამოყენების შესახებ ილაპარაკა ტრესტ „გლავკიევსტროის“ კოშკურა ამწის „მემანქანემ ამხ. **ალიმოვამ.** როგორც დადებითი ფაქტი აღნიშნა მან, რომ ამ ბოლო დროს კოშკურა ამწეების მეტი წილი მემანქანეები ემანქანის ვიწრო სპეციალობიდან გადადიან ამწეების დამოუკიდებელ მომსახურებაზე — ისინი თვითონ ახორციელებენ ამწეების ტექნიკურ მოვლას და შეკეთებას.

მინსკის სამშენებლო-სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. **დიგილევიჩი** დაწვრილებით შეეხო შრომის კომპლექსურ მეთოდებს, ილაპარაკა თავისი ბრიგადის გამოცდილებაზე. მან აღნიშნა, რომ სამუშაოთა გაიაფების გზაა შრომის ნაყოფიერების გადიდება თვითეულ სამშენებლო მოედნზე, თვითეულ სამუშაო ადგილზე.

ახალგაზრდობის თავდადებული შრომის მკაფიო სურათი დახატა თავის გამოსვლაში კომკავშირის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **არბატსკიმ.** გავიდა მხოლოდ ერთი წელიწადი, რაც დაიწყო მსოფლიო

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა

ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის. ასამდე სხვადასხვა წრესა და პოლიტსკოლაში, აგრეთვე 16 სემინარში მთელი მუშაობა გადასულია XX ყრილობის მასალების შესწავლაზე. ამავე მიზანს ემსახურებიან მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი და საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა, დამატებით შექმნილი 16 წრე და 14 სემინარი.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა ყრილობის მასალების შესწავლის უკეთესად დაყენების მიზნით მთავარი ყურადღება მიაქცია პროპაგანდისტებთან მუშაობის გაძლიერებას. მოეწყო პროპაგანდისტების საქალაქო შეკრება, რომელზეც მოხსენებით „პარტიის XX ყრილობის შედეგები და პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები“ გამოვიდა ქალაქკომის მდივანი, პარტიის XX ყრილობის დელეგატი ამხ. ე. ტაკიძე. პროპაგანდისტებისათვის ძოეწყო აგრეთვე ლექციები: „როგორ წევასწავლოთ მსმენელებს პარტიის XX ყრილობის მასალები“, „მჟიდროდ დაეუკავშიროთ პროპაგანდისტული მუშაობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ.

ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში დიდი ამოცანები აკისრიათ კონსულტანტებს. საქალაქო კომიტეტმა მოიწვია კონსულტანტების სპეციალური თათბირი და კონკრეტულად განუმარტა მათ, თუ როგორ მოაწყონ დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შესწავლის საქმეში.

გაძლიერდა ლექციური პროპაგანდაც. ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში საქალაქო კომიტეტის ლექტორები გამოდიან მოხსენებებით ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის „პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა კომუნიზმის მშენებლობაში“, „სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების თავისებურებათა შესახებ“, „იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა“ და სხვ. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სალექციო თემატიკა შემუშავებულია პარტიის XX ყრილობის მასალების პოპულარიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით. საზოგადოების ლექტორებმა უკვე წაიკითხეს პირველი ლექციები თემებზე: „პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მნიშვნელოვანი ეტაპია კომუნიზმის მშენებლობაში“, „პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა“, „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის შესახებ“ და ა. შ.

საქალაქო პარტიულ ბიბლიოთეკაში ყრილობის მასალების პროპაგანდის მიზნით მოეწყო ლიტერატურის გამოფენა. აქვე წარმოდგენილია ქალაქის საწარმოთა ყოველთვიური მაჩვენებლები და მეექვსე ხუთწლედის დიდი ამოცანების ამსახველი დიაგრამები, რასაც ოსტატურად იყენებენ პროპაგანდისტები, მომხსენებლები და კონსულტანტები.

ყრილობის მასალების პოპულარიზაციისათვის ფართოდ გაჩაღებულია მასობრივ-საagიტაციო მუშაობაც. 3.000-ზე მეტი აგიტატორი გულმოდგინედ განუმარტავს მსმენელებს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს და ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. მჭიდროდ უკავშირებს ადგილობრივ საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ტყავფეხსაცმლის კომბინატის სპორტული ფეხსაცმლის საამქროს აგიტატორი ნ. კუბლაშვილი, რომელიც პირადი მაგალითით აღფრთოვანებს მუშებს. იგი ყოველთვიურ დავალებებს 170-200 პროცენტით ასრულებს.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა საagიტაციო მუშაობა მოსახლეობაში. აღსანიშნავია აგიტატორების ემმ ნ. გვენეტაძის, ინჟინერ გ. ენდელაძის, სტუდენტ ე. სახვაძის და სხვათა ენერგიული მუშაობა, რომლებიც უშუალოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სისტემატურად აწყობენ საუბრებს დიასახლისებთან.

პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქალაქის ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიც არის საავტომობილო ქარხანა, აბრეშუმკომბინატი, მანქანათმშენებელი ქარხანა, მაუდის ფაბრიკა, ლიტოპონის ქარხანა, საელმავლო დეპო და სხვ.

საავტომობილო ქარხანაში 641 კომუნისტიდან 350 დამოუკიდებლად სწავლობს ყრილობის მასალებს. მათთვის სისტემატურად ეწყობა კონსულტაციები, ლექციები და საუბრები. კონსულტანტებიდან ენერგიული მუშაობით გამოირჩევიან გ. ჩუბინიძე, ნ. დუნდუა, რ. ქარცივაძე და სხვ.

მსგავსი საამქროში ნაყოფიერად მუშაობს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პროპაგანდისტი ს. მარდახაშვილი. ერთ-ერთ მეცადინეობაზე, როდესაც ლაპარაკი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხზე, ს. მარდახაშვილმა მოიყვანა კონკრეტული ფაქტები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ეხმარებიან ქარხნის საამქროები წულუკიძის, ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების იმ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, რომლებსაც შეფობას უწევენ. მან ილაპარაკა აგრეთვე იმ პროდუქციის გამოშვების გადიდების ამოცანებზე, რომლებიც უშუალოდ სოფლის მეურნეობისათვის არის განკუთვნილი (ბამბის საზიდი ავტომატარებელი, ძრავები და სხვ.).

წრის მსმენელები მეცადინეობაზე დიდ აქტივობას იჩენენ. მაგალითად, მსმენელმა შ. კუხიანიძემ, ღრმად განმარტა რა ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ ამ მხრივ ქარხანაში ყველაფერი ჯერ კიდევ როდია რიგზე. ახალი ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენების უგულებელყოფის შედეგია, — თქვა მან, — რომ ჩვენს საამქროში 2 წელიწადია უქმად დგას მძლავრი აგრეგატული ჩარხი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

ამ წრის მსმენელთა შორის აქტივობით გამოირჩევიან აგრეთვე თ. სვანაძე, გ. ჯუღელი, მ. ქავთარაძე და სხვ.

ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობს და ყრილობის მასალებს საფუძვლიანად სწავლობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვანელი გ. გაბიძაშვილი).

მაგრამ ასე როდი ითქმის საavტომობილო ქარხანაში არსებულ ყველა წრესა და სემინარზე. მაგალითად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პოლიტწრე სამსხმელო საამქროში (პროპაგანდისტი ვ. ზაუტაშვილი). წრის მეცადინეობას უკანასკნელად 19 კაციდან მხოლოდ 7 დაესწრო, საუბარში კი მხოლოდ ერთმა მსმენელმა მიიღო მონაწილეობა.

საavტომობილო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს თვალსაჩინო აგიტაციის საქმეში. საწნეხ-საძარე, საიარაღო, სიჩქარეთა კოლოფის და სხვა საამქროებში შეხვდებით მოძველებულ პლაკატებს, ლოზუნგებსა და მოწოდებებს, რომლებმაც უკვე დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, მაგალითად ასეთებს: „ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის“, „ვიბრძოლოთ რიტმული მუშაობისათვის, 1955 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის“ და სხვ. აქ ჯერ არა აქვთ დიაგრამები და მხატვრულად გაფორმებული პანოები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საერთო ზრდას მეექვსე ხუთწლეულში და, რაც მთავარია, თვით საavტომობილო ქარხნის ზრდა-განვითარებას.

მსგავსი ნაკლოვანებებია ქალაქის მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებებში. № 4 სამშენებლო ტრესტში სემინარის უკანასკნელი მეცადინეობა ჩაშალა მისი ხელმძღვანელის ა. მაღრაძის გამოუცხადებლობის გამო. სასწავლო-საწარმოო კომბინატის აგიტატორები ე. კირკიტაძე და ლ. ჭოლაქე თვითონ ვერ ერკვეოდნენ XX ყრილობის მასალებში. უფრო მეტი, „ქუთაისსაკერობის“ სატრანსპორტო განყოფილებაში ჯერ კიდევ არ შესდგომიან ყრილობის მასალების შესწავლას.

პარტიის საქალაქო კომიტეტი მოვალეა გადამჭრელი ზომები მიიღოს ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის, გააძლიეროს კონტროლი და დახმარება პირველადი ორგანიზაციებისადმი ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში.

გ. მეფისაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის avტომობილშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა პირველ კვარტალში კარგად იმუშავა და დიდი გადაჭარბებით გაანაღდა პირველი კვარტალის დავალება. ჩაებნენ რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, avტომობილშემკეთებლებმა გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ოთხი თვის საწარმოო გეგმა. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა მოწინავე ხარატმა ი. კალიმანოვმა, რომელიც დავალებებს 240-250 პროცენტით ასრულებს. იგი 20 წელია მუშაობს ქარხანაში და ამ ხნის განმავლობაში არაერთი კარგი ხარატი გამოზარდა. **სურათზე:** ი. კალიმანოვი (მარცხნივ) ერთ-ერთი დეტალის ნახაზს უხსნის თავის ყოფილ მოწაფეს ხარატ ზ. ლომიძეს.

ფოტო შ. გოკაძისა.

★

22 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეგებით

ხაშური. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი ძალით გააჩაღა მუშაობა ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის.

კომბინატის კოლექტივმა 104,2 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 22 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სამკედლო-მექანიკური საწარმოების, ლიმონათის ქარხნის, კირის ქარხნის და სხვ. კოლექტივები.

კომბინატის კოლექტივმა პირობა დადო 15 პროცენტით გადაჭარბებით შესრულოს მიმდინარე წლის ექვსი თვის საწარმოო დავალება.

მაღალი სანაარმოო მაჩვენებლებით

მახარაძე. (საკ. კორ.). ლუდის ქარხნის კოლექტივმა სასახელოდ გაანაღდა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, 102 პროცენტით შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 6.000 ლიტრი ლუდი. შრომის ნაყოფიერება გაზარდა 2,3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 2,1 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივის ახალი ვალდებულებაა: წლიური საწარმოო გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულონ, სამშობლოს მისცენ 50.000 მანეთის ზეგეგმითი მოგება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 300.000 ლიტრი ლუდი. ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის პრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ გამოიწვიეს ქუთაისის ლუდის ქარხნის კოლექტივი.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

ეროვნული ეკონომიკა

როგორ მივაღწიეთ ნავთობის გაზრდა-გასუქების მაღალ დონეს

ექვსი წლის წინათ თბილისში ამუშავდა მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური, რომელიც მომსახურებას უწევს გარეუბნის, გარდაბნის, თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებს და დედაქალაქის მოსახლეობას. ამ ხნის განმავლობაში სადგურში გამოჩეკილია 1.092.328 ფრთა წიწილა. მათგან 724.123 ფრთა მიეყიდა კოლმეურნეობებს, ხოლო 368.205 ფრთა — მუშამოსამსახურეებს.

მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ინკუბაციის ტექნიკის დაუფლების საფუძველზე ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს წიწილების გამოჩეკისა და გასაღების გეგმას, ამასთან განუხრელად ზრდის გამოჩეკის პროცენტს. 1954 წელს სადგურმა გამოჩეკა და გაზარდა 154.944 ფრთა წიწილა, გამოჩეკის პროცენტი აიყვანა 71-მდე. შარშან სადგურმა წიწილების გამოჩეკის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა; გამოჩეკილ იქნა 166.873 ფრთა წიწილა, ანუ გამოსაჩეკად ჩაწყობილი მთელი კვერცხის 78,1 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 71 პროცენტისა.

საინკუბატორო სადგურის სპეციალისტები ადგილებზე აქტიურად ეხმარებიან მეფრინველეობის ფერმების მუშაკებს. ამ საქმეს ემსახურება აპარატის 2 და უბნის 3 ზოოტექნიკოსი.

ამისათვის, რომ უზრუნველყოთ ჩვენი ზონის კოლმეურნეობებში წიწილების გაზრდის მაღალი პროცენტი, წინასწარ გამოუშვამთ, თუ ფერმები რამდენად არიან მზად ახალგამოჩეკილი წიწილების მისაღებად, და პირველ რიგში სწორედ იმ კოლმეურნეობებში შეგვყავს წიწილები, სადაც მათი გაზრდის უკეთესი პირობებია შექმნილი. დიდ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე ამას, რომ ფრინველის გაზრდის, მოვლა-პატრონობის საქმეს ღრმად დაეუფლონ მეფრინველეობის ფერმების მუშაკები. ამ მიზნით მათთვის შარშან მოვაწყეთ ხუთდღიანი სემინარი. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ბევრ კოლმეურნეობაში მიღწეულია წიწილების გაზრდის მაღალი პროცენტი. მაგალითად, გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ხუციშვილი, მეფრინველეობის ფერმის გამგე შ. ჰეტიაშვილი) 2.000 წიწილიდან შეინარჩუნეს და გაზარდეს 1.700, ანუ 85 პროცენტი. ასეთივე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა ამავე რაიონის სოფელ ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

შარშან ჩვენ ვცადეთ საინკუბატორო სადგურთან მოგვეწყო წიწილების სამი თვის ასაკამდე გაზრდა-გასუქება გალია-ბატარიებში. ეს ჩვენი პირველი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა.

კიევიდან მიღებული 27 ცალი გალია-ბატარია სამ თთახში მოვათავსეთ. წინასწარ გავეცანით, კარგად შევისწავლეთ და სრულ წესრიგზე მოვიყვანეთ ისინი. გასული წლის 8 ოქტომბერს გალია-ბატარიებში გასაზრდელად მოვათავსეთ ერთდროულად 3.090 წიწილა. ზუსტად ვიცავდით სითბოსა და მოვლა-კვების რეჟიმს. 10 დღის ასაკამდე წიწილები გეკუავდა 26-28 გრადუს ტემპერატურაში, საკვებს ვაძლევდით ყოველ 2 საათში. გამოჩეკიდან პირველი 3 დღის განმავლობაში წიწილებს კვებავდით მაგრად შოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხით. ყოველ 20-25 წიწილას ვაძლევდით ერთ კვერცხს. 11-დან 20 დღის ასაკამდე წიწილები გვყავდა 23-25 გრადუს ტემპერატურაში, საკვებს ვაძლევდით ყოველ 2 საათში, 21-დან 30-დღის ასაკამდე — 23-22 გრადუს ტემპერატურაში, კვებავდით ყოველ 3 საათში, 30-დან 50 დღის ასაკამდე — 20-18 გრადუს ტემპერატურაში, კვებავდით დღეში 4-ჯერ.

წიწილების ნორმალური ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად რაციონს იმგვარად ვადგენდით, რომ წიწილებისათვის საკმარი რაოდენობით შეგვეცა ცილები, ვიტამინოვანი და მინერალური საკვები, ხოლო სუფთა წყალი მათ გამოულეველად ჰქონდათ. ცილოვანი საკვები საჭირო რაოდენობით რომ მიეღოთ წიწილებს, 5-10 დღის ასაკიდან რაციონში შეგვქონდა 5 პროცენტი ხორცის ან სისხლის ფქვილი, ამას ზოგჯერ ხაჭოსა და რძეს ვუმატებდით. 3 დღის ასაკიდან წიწილებს ვაძლევდით აგრეთვე ვიტამინოვან საკვებს: დაჭრილ მწვანე იონჯას დღეში პირველად 2-3 გრამს, ხოლო შემდეგ უფრო მეტი რაოდენობით, იონჯის უქონლობისას კი — თევზის ქონს. მინერალურ საკვებად ვიყენებდით ცარცს, ჩამქრალ კირს ან ძვლის ფქვილს.

კვების რაციონი და ტემპერატურა ზუსტად რომ დაგვეცვა, ამისათვის შემოღებული გვქონდა სადღეღამისო მორიგეობა. კვების შუადღე ვაწყობდით წიწილების დასვენებას დღეში 2-ჯერ, რისთვისაც გამოვრთავდით ელექტროსინათლეს. ცოცხალი წონის მატების დასადგენად ვწონიდით ჯგუფურად ყოველ 10 დღეში ერთხელ და შედეგების მიხედვით ვცვლიდით რაციონის სიდიდეს.

ამ მეთოდით გაზრდისას შარშან შევინარჩუნეთ წიწილების 89 პროცენტი და მივაღწიეთ ცოცხალ წონაში სწრაფ მატებას, მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე დაწესებულია სტანდარტით. კერძოდ, შევძელით სახელმწიფოსათვის ჩაგვებარებინა 75 დღის ასაკის კარგად გასუქებული 2.735 ფრთა ფრინველი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 ფრთისა, ამასთან თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა აღემატებოდა 740 გრამს ნაცვლად სტანდარტით გათვალისწინებული 700 გრამისა.

ამგვარად, გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ გალია-ბატარიის გამოყენებით ვაღწევთ წიწილების გაზრდის მაღალ პროცენტს და ადრე ვიღებთ მოზარდის დიდ ცოცხალ წონას, ამასთან მნიშვნელოვნად მცირდება მომვლელი მუშახელის რაოდენობა.

სადგური დროულად შეუდგა მიმდინარე საინკუბაციო სეზონისათვის მზადებას; შეკეთებულია ინკუბატორები, მომარაგებულია საჭირო ინვენტარი. წელს გარეუბნის, გარდაბნის და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებს მეფრინველეობის ფერმებისათვის უნდა მიეყიდოთ 82.000 ფრთა წიწილა. ამას გარდა კოლმეურნეებს ნატურანაზღაურების წესით მივცემთ 16.000, ხოლო მუშა-მოსამსახურეებს — 63.000 ფრთა წიწილას.

წელს საინკუბატორო სადგურს დავალებული აქვს ინტენსიური წესით 3 თვის ასაკამდე გაზარდოს 9.000 ფრთა წიწილა. ამ დავალების პირნათლად შესრულებისათვის სადგურის კოლექტივმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, გააძლიერა მუშაობა ყველა მოსამზადებელი სამუშაოს ადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ჯ. კოკაზნარიძე,

თბილისის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„არ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ახმეტის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის საქმეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მთელ რიგ კოლმეურნეობებს არა აქვთ მომზადებული თესლი, მინდვრად საკმაო რაოდენობით არ გაუტანიათ სასუქები და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომმა გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. რაიკომის ბიურომ მიიღო ღონისძიებანი წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამჟამად რაიონის ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია საგაზაფხულო კულტურების თესლით.

პარტიის XX ყრილობის მასალების პოპულარიზაციისათვის

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად საანგარიშო პერიოდში მიღწეულია საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ზრდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ჩვენი ხალხის უდიდესი მოსაპოვარია. იგი წარმოიქმნა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. მისი წინა პირობა იყო კაპიტალისტური ბაზისისა და ანტაგონისტური კლასების მოსპობა. საბელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ შეამჭიდროვა მშრომელთა ფართო მასები და გამოუჭედა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების უშრეტი წყაროა.

მასებთან კავშირი, დიდი ლენინის ნაანდერძევი, მარად სახსოვარი ჭეშმარიტებაა. ამ ჭეშმარიტების ერთგული, მისი თანმიმდევრულად გამტარებელი ყოველთვის იყო და არის მშობლიური კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტია ყოველთვის სათავეში ედგა მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, მას ორგანიზებულად მიჰყავდა ჩვენი ხალხი სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. მაგრამ მთელი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაზე ლაპარაკი მაინც არ შეიძლებოდა, სანამ ამისათვის საჭირო ეკონომიური და პოლიტიკური პირობები არ შეიქმნებოდა. ანტაგონისტური კლასების მოსპობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის აღმოფხვრა სოციალიზმის გამარჯვება ქალაქად და სოფლად — ეი რა იყო საჭირო საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შექმნისათვის.

კომუნისტური პარტიის, რომელიც თანმიმდევრულად განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა, გაბედულად მიჰყავდა და მიჰყავს საბჭოთა ხალხი დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები ნათელი გზით.

კაპიტალიზმის ისტორიამ არ იცის ზრდასა და განვითარების ტემპით საბჭოთა კავშირის მსგავსი სხვა ქვეყანა. უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო წარმოება გადიდდა 20-ჯერ და-უფრო მეტად. სულ უფრო წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, დიდდება მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა, იზრდება საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. განუზომლად ამაღლდა მასების კულტურული დონე, ბედნიერი და საამური ცხოვრება დამკვიდრდა ქალაქად და სოფლად.

საბჭოთა ადამიანების შრომით ენთუზიაზმს, ჩვენი ქვეყნის განვითარების მაღალ ტემპს უმღერიდა დიდი პოეტი ვლ. მაიაკოვსკი:

„ჩვენს წინსვლას
ვერავინ გაუძლოს,
ძველ წესთან შეტევა ვახშიროთ!
რომ ამერიკასაც
გავუსწროთ —
წინ იარ, საბჭოთა კავშირო!“

საბჭოთა ხალხის გიგანტური წინსვლისა და ყველა მისი წარმატების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელმაც მასებზე დაყრდნობით განახორციელა ძირეული გარდაქმნები ჩვენ ქვეყნის როგორც ეკონომიურ ბაზისში, ისე მის პოლიტიკურ ხედნაშენში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი წარმოებითი ურთიერთობის შექმნას. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ეკონომიური საფუძველია. სოციალისტური წარმოების არსებითი ნიშნადმლევი მხარე ის არის, რომ ყოველივე ის, რასაც საზოგადოება ქმნის, თვით საზოგადოებას ეკუთვნის. ამიგად, წარმოების სოციალისტური წესი განაპირობებს საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ეკონომიურ ინტერესთა ერთიანობას. საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, რადგან ამაზეა დამოკიდებული საზოგადოების შეფერვა მზრდა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ახალი წარმოებითი ურთიერთობა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა საფუძვლად დაედო ახალი ადამიანის ფორმირებას, კომუნისტური მორალის გამოფუშავებას. კომუნისტური მორალის განმსაზღვრელი პრინციპია ბრძოლა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მისი ერთ-ერთი ნიშანდობლივი მხარე ის არის, რომ იგი, არ უარყოფს რა პიროვნულს, საზოგადოებრივს პიროვნულზე მაღლა აყენებს. საბჭოთა ადამიანის — მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენციის მორალური სახე ხასიათდება უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი მოვალეობის — ხალხისა და სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის მაღალი შეგნებით.

საბჭოთა ადამიანებს შეგნებული აქვთ, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერების გაუხრწნელი აღმავლობის საქმეში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შეაქვს თავისი წვლილი. ისინი საერთო საქმეს ემსახურებიან, იბრძვიან სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამ შეგნებას ემყარება ხალხთა ურღვევი შეგობრობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას და მისი საუკეთესო გამოხატულებაა.

საბჭოთა ხალხის წინსვლის ნაკადი მეთოდია სოციალისტური შეჯიბრება. მისი ძალა მის მასობრიობაშია. იგი ამავე დროს მშრომელთა ენთუზიაზმის წარმმართველი ძალა და საერთო აღმავლობის მძლავრი საშუალებაა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებიან ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და მტს-ები, რაიონები და ქალაქები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკების ჩაბმას.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ერთობლივი ბრძოლის გამოხატულებაა. ომამდე რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებს, 1905 წლის რევოლუციას, 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ინტერვენციასა და სამოქალაქო ომს, ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნას, ომამდელ ხუთწლედებს, ომისშემდგომ ხუთწლედებს, ტყიბულელი და დონბასელი მეშახტეების, ივანოველი და ნიკოპოლელი მაღაროელების, მახარაძელი და გენიჩესკელი კოლმეურეების სოციალისტური შეჯიბრები. საბჭოთა ხალხის სიყვარული ძალას მატებს რუსთაველს, ფოლადმდნობელებს ა. ზარიძეს, ვ. ჭაბაშვილსა და ჰ. ბაირამოვს, რომლებმაც თავბრეკალსა და მარტში ჩქარობნული მეთოდით გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ფოლადი გამოადნეს. საშობლოს სიყვარული ეპატკის ენერგიას აძლევს. გეგეჭკორის რაიონის ნაგვაბოს მოხუც კოლმეურნეებს — 110 წლის ლავრენტი სურმავასა და 105 წლის თეოფილე ჯუბაბრიას, რომლებმაც შარშან 110-125 ზრომადღე გამოიმუშავეს.

ძალა მთელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობაშია. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ, როცა მილიონობით მშრომელი გაერთიანდება და თავისი კლასის რჩეულ ადამიანებს მიჰყვება როგორც ერთი კაცი, მაშინ გამარჯვება უზარმაზარია. საბჭოთა ხალხი მიჰყვება კომუნისტურ პარტიას, იგი წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას და დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს კომუნიზმის საქმე. კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა ხალხის ერთგულება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ნათელი გამოხატულებაა.

საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესმა ძალამ თავი იჩინა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ცნობილია, რომ ჰიტლერული ფაშისტი დამპყრობლები წინასწარმეტყველებდნენ პირველი დარტყმისთანავე საბჭოთა კავშირის დაშლას მის შემადგენელ ნაწილებად, ეროვნებათა ურთიერთ დაპირისპირებას და საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას. ამიტომ ომი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მკაცრი გამოცდა იყო. საბჭოთა ხალხის ურღვევმა ერთიანობამ ყოველ განსაცდელს გაუძლო. კომუნისტური პარტიის მიერ უძველეს ძალად შეკავშირებულ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ჩაება განმათავისუფლებელ ომში. სოციალისტური სამშობლოს მზრუველ სიყვარული აღფრთოვანებდა საბჭოელ ომის დღეებში საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს, მთელ საბჭოთა ხალხს. მოეწოდებდა მათ საგმირო საქმეებისაკენ.

საბჭოთა ხალხმა ამ უმაგალითო ომში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, ეს გამარჯვება უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა ერის. მუშათა კლასის გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებულმა ბრძოლამ. ომმა ნათელყო მთელი ჩვენი ხალხის ურღვევი ერთიანობა. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააჯილდოვა მობილმშენებლების, ტყიბულელი და დონბასელი მეშახტეების, ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელების, მახარაძელი და გენიჩესკელი კოლმეურეების სოციალისტური შეჯიბრები. საბჭოთა ხალხის სიყვარული ძალას მატებს რუსთაველს, ფოლადმდნობელებს ა. ზარიძეს, ვ. ჭაბაშვილსა და ჰ. ბაირამოვს, რომლებმაც თავბრეკალსა და მარტში ჩქარობნული მეთოდით გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ფოლადი გამოადნეს. საშობლოს სიყვარული ეპატკის ენერგიას აძლევს. გეგეჭკორის რაიონის ნაგვაბოს მოხუც კოლმეურნეებს — 110 წლის ლავრენტი სურმავასა და 105 წლის თეოფილე ჯუბაბრიას, რომლებმაც შარშან 110-125 ზრომადღე გამოიმუშავეს.

ძალა მთელი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობაშია. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ, როცა მილიონობით მშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

საბჭოთა მეცნიერება ხალხის სამსახურში

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. ცოდნის ყველა დარგში თეორიული კვლევის გაფართოებით ამაღლდეს სამეცნიერო დაწესებულებათა როლი ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის საქმეში. გარდაიქმნას სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მათი საქმიანობა უფრო დაუახლოვდეს მეურნეობის კონკრეტულ საჭიროებებს. უზრუნველყოფილ იქნას, რომ საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენონ სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

მეცნიერთა ღონისძიებანი და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მატერიალური რესურსები მთლიანად წარიმართოს პირველ რიგში იმ მეცნიერული პრობლემების დამუშავებისათვის, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, ამასთან მიღწეულ იქნას მეცნიერულ გამოკვლევათა უსწრაფესად მიყვანა ბოლომდე და მუშაობის შედეგების დანერგვა სახალხო მეურნეობაში.

დაუახლოვდეს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები საწარმოო ბაზას. გაუმჯობესდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა აღჭურვა თანამედროვე მეცნიერული მოწყობილობითა და მასალებით.

უფრო ფართოდ ჩაბმულ იქნან უმაღლესი სასწავლებლები სახალხო მეურნეობისათვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი კანონის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივებიდან.

ტექნიკური პროგრესისათვის ბეტონის გამოყენების საქმეში

კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საქმეში ბეტონის გამოყენების როლი და მნიშვნელობა ახლა საყოველთაოდ არის აღიარებული. პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლედის შესახებ მითითებულია:

„განხორციელდეს მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, მსუბუქი ბეტონების კონსტრუქციების, ქარხნაში დამზადებული მსხვილი ბლოკებისა და მზა კვანძების ფართოდ გამოყენების გზით, აგრეთვე მშენებლობის კომპლექსური მექანიზაციის ყოველი ღონისძიებით დანერგვის გზით...“

ბეტონმა მშენებლობაში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, დიდი პოპულარობა და ფართო ასპარეზი მოიპოვა. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ბეტონს ენერგეტიკულ მშენებლობაში.

ბეტონის და რკინაბეტონის დასამზადებლად ინდუსტრიული მასალები — ცემენტი და რკინა მცირე რაოდენობით იხარჯება, დაახლოებით 10-12 პროცენტი; ბეტონის დანარჩენ შემადგენელ ნაწილს შეადგენს არა ინდუსტრიული, არამედ უხვი და ადვილად მოსაპოვებელი ადგილობრივი მასალები. ბეტონის შემადგენელი სხვადასხვა მასალების სხვადასხვა შეფარდებისას ჩვენ ვიღებთ ისეთ ფართო ტექნიკური დიაპაზონის ხელოვნურ საშენ მასალას, რომელიც მშენებლებს უადვილებს ნაგებობის აგებას.

მეცნიერება ბეტონისა და რკინაბეტონის შესახებ ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებით განვითარდა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა მეცნიერებმა დაამუშავეს ბეტონის წარმოების ახალი დისციპლინა, შექმნეს ახალ სახეობათა სხვადასხვა მარკის ცემენტი და ბეტონი, შეიმუშავეს მათი გამოყენების სხვადასხვა მეთოდები.

ბეტონის მასობრივად გამოყენების მხრივ საბჭოთა კავშირს ახლა მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. განველი 3-4 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ კუბმეტრ ბეტონს ასხამდნენ. ეს მოწმობს ბეტონის წარმოების თეორიასა და პრაქტიკაში ჩვენი მშენებლების მიერ მოღწეულ მაღალ ტექნიკას. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბეტონის გამოყენების საქმეში, განსაკუთრებით რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების წარმოების დარგში ჯერ კიდევ ბევრი საკითხი ელის მეცნიერულად დაზუსტებას.

ამ მხრივ ჩვენთვის, განსაკუთრებით საქართველოს ინეინერ-ტექნიკოსთა საზოგადოებრიობისა და ბეტონის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, მეტად საყურადღებო იყო ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ამას წინათ მოწვეული და პრაღაში გამართული საერთაშორისო კონფერენცია სპეციალურად ჰიდროტექნიკური ბეტონის საკითხების განსახილველად. ამ კონფერენციას საბჭოთა კავშირიდან ესწრებოდა სამი კაცი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლენინგრადელი ვ. სტოლნიკოვი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მოსკოველი ს. შესტოპეროვი და საქართველოდან — ამ სტრიქონების ავტორი.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ბევრი საინტერესო მოხსენება. დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მეცნიერების ვ. სტოლნიკოვის და ს. შესტოპეროვის მოხსენებებმა.

ს. შეტოპეროვი თავის მოხსენებაში შეეხო ვოლგა-მოსკოვის არხზე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აღსამართავად ბეტონის გამოყენების საკითხებს, განმარტა ბეტონის ყინვაგამძლეობისა და ხანგრძლივობის მიღწევის საკითხები. ვ. სტოლნიკოვის მოხსენება შეეხებოდა ჰიდროტექნიკური ბეტონის ტექნოლოგიაში ჩვენი სპეციალისტების მიერ მოპოვებულ მიღწევებს, აგრეთვე ბეტონის შუსწავლის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისა ინოტოპებისა და ხისტი სხივების გამოყენების საკითხს. ამ სტრიქონების ავტორს მოუხდა კონფერენციაზე გამოსულიყო მოხსენებით საქართველოში მსუბუქი ბეტონის გამოყენების საკითხებზე სამრეწველო, სამოქალაქო, საგზაო და ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენების მხრივ ამიერკავკასიაში შეძენილი გამოცდილების შესახებ.

ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენება მსოფლიო პრაქტიკაში პირველად განხორციელებულ იქნა საქართველოსა და სომხეთში. მსუბუქი ბეტონის შესასწავლად დიდი მუშაობა იქნა გაწეული თბილისის და ერევნის სამეცნიეროსაკვლევ ინსტიტუტებში. ბეტონში ე. წ. მსუბუქი დანამატების გამოყენება პირველად რიონჰესის მშენებლობაზე განხორციელდა.

ახლახან დაწყებულმა გამოკვლევებმა, რასაც ხელმძღვანელობენ გ. ჩილინგარაშვილი და ს. შანშიევი, გვიჩვენა, რომ მსუბუქი ბეტონის და რკინაბეტონის გამოყენება არა მარტო შესაძლებელია, არამედ მეტად ხელსაყრელიც არის საწნეო გვირაბებში.

კონფერენციის მუშაობის დამთავრებისას მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს ჩეხოსლოვაკიის ყველაზე დიდი ჰიდროტექნიკური მშენებლობები. უნდა ითქვას, რომ ამ მშენებლობებზე შრომის მოწყობისა და მშენებლობის ორგანიზაციის მხრივ ბევრი რამ მისაბაძი ვნახეთ.

უნდა ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიაში ბეტონის წარმოებაში ტექნიკური პროგრესი დიდი წარმატებით ვითარდება. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. როგორც ცნობილია, ჩვენში ჩვეულებრივად ვერტიკალური ტიპის ბეტონის მექანიზებული ქარხნებია პერიოდული მოქმედების ბეტონსარეცი დანადგარებით. ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით იყენებენ უწყვეტი მოქმედების ბეტონსარეც დანადგარებს, ბეტონის ქარხანა სავსებით ლოკორებულია, აღკეთილია ბეტონის შემადგენელი კომპონენტების არასწორი დოზირების შემთხვევები.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ერთ-ერთი კაშხალის მშენებლობის გამოცდილება. აქ, ნაგებობის თვითეული გარეთა ბლოკის დაბეტონებაზე, რომელიც 200-300 კუბმეტრის მოცულობისაა, იყენებენ 2 სხვადასხვა ხარისხის ცემენტს. ყოველი ბლოკის დაბეტონება 2,5 მეტრის სისქით ხდება გარედან (ბლოკის გარეთა ზონა), რისთვისაც ცემენტის გასავალი განსაზღვრულია 300 კილოგრამით კუბმეტრზე. ბლოკის შიგნითა ზონის დასაბეტონებლად კი ცემენტის გასავალი ერთ კუბმეტრზე განსაზღვრულია 180 კილოგრამით. ამით მიღწეულია ბლოკის გარეთა და შიგნითა ზონების უმტკიცესი შემჭიდება, თავიდან არის აცილებული ბეტონის მასაში ე. წ. სამშენებლო ნაწიბურის გაჩენა, რასაც კონსტრუქციის სიმტკიცისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიდ ნაგებობათა დაბეტონებისას ჩეხოსლოვაკიაში ნაგებობის შიგნითა ზონაში ცემენტს შედარებით მცირე რაოდენობით იყენებენ. ეს გამოწვეულია არა მარტო ეკონომიის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ცემენტის დიდი დოზით გამოყენება, როგორც ეს სპეციალისტებისათვის ცნობილია, ბეტონის მასაში იწვევს მაღალ ტემპერატურას და ბეტონის გაგრილების შემდეგ დაბზარვას, მაშასადამე, დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროებას. დიდი მასივების შიგნითა და გარეთა ზონების მიხედვით დაბეტონებისას ასეთი მოვლენები არ ხდება, ცემენტის ხარჯი მცირდება, ხოლო ნაგებობა საუკეთესო ხარისხისა გამოდის.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო ხე-ტყის მასალის გამოყენება (ქარგილის ბრუნვა) ჩეხოსლოვაკიაში სულ ცოტა ოცგზის ხდება.

ბეტონის წარმოების საქმეში ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა გააფართოონ თავიანთი სამუშაო პროგრამები და გადაწყვიტონ მთელი რიგი ახალი საკითხები. ჩვენს მშენებლობებზეც უნდა შემოვიღოთ ბეტონის კაშხალების ზონების მიხედვით დაბეტონება, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საამისოდ საჭიროა ადგილობრივი პირობების, აგრეთვე შემავსებელი მასალების გულდასმით შესწავლა და მშენებლებისათვის ყოველმხრივ შემოწმებული დასკვნების მიცემა.

აუცილებელია პარტიის XX ყრილობის მიერ მშენებლობის წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა ცემენტის, ბეტონის და სხვა საშენი მასალის შემსწავლელმა სამეცნიერო-ტექნიკურმა დაწესებულებებმა, რომლებსაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ბეტონის გამოყენების საქმის გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახლა რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების წარმოების გაუმჯობესების საკითხებს. მეცნიერ მუშაკებს ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ეს სადღეისო საკითხები ლმობიერეს დროში გადავწყვიტოთ და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულების საქმეში.

დოც. პ. წულუკიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



სურათზე: საქართველოს ხ. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ვ. ჩაგუნავა ამოწმებს ჭიათურის მარგანეცის წარმოების ნარჩენების ვარგისიანობას.
ფოტო შ. გოქაძისა.

წარმოების მუშაკებთან თანამეგობრობის გზით

პარტიის XX ყრილობაზე მიღებულ და დამტკიცებულ მეექვსე ხუთწლედის დირექტივებში აღნიშნულია იმის აუცილებელი საჭიროება, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საკითხების დამუშავებაში ფართოდ იქნან ჩაბმული უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო ძალები.

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინეინერთა ინსტიტუტს შემოქმედებითი თანამეგობრობა აქვს სტალინის სახელობის თბილისის ორთოქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივთან. ინსტიტუტის მხრივ ამ თანამეგობრობას ახორციელებენ ფიზიკის კათედრის მეცნიერი მუშაკები.

ეს შემოქმედებითი თანამეგობრობა დაიწყო 1948 წლიდან, როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა ახალი მოძრაობა ლითონის ჩქაროსნული და ძალსნური ჭრის დასანერგავად, ლითონდამმუშავებელთა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. ამ საქმეში კათედრის წარმომადგენლების შემოქმედებითმა თანამშრომლობამ წარმოების მუშაკებთან, სახარატო საქმის ოსტატებთან — ი. ჭუბბურიძესთან, ვ. ბაისონაშვილთან, ნ. გავრიკოვთან, გ. ნუხიგულაშვილთან, ინეინრებთან — გ. სიმონიანთან, ბ. ჩლაიძესთან და სხვ. საუკეთესო შედეგი მოგვცა. ათვისებულ იქნა ლითონის ჩქაროსნული და ძალსნური ჭრის. მეთოდები, ლითონდამმუშავებელთა შრომის ნაყოფიერება 2-3-ჯერ ამაღლდა.

უკანასკნელ დროს კათედრის წარმომადგენლები ქარხნის მუშაკებთან ერთად ამუშავებენ სამუშაო ადგილების რაციონალურად მოწყობის კონსტრუქციულ ფორმებს. სპეციალურმა ბრიგადამ, რომელიც შედგებოდა კათედრის წარმომადგენლის კ. ლიუბარსკის, ინეინერ გ. სიმონიანის, ხარატ ი. ჭუბბურიძის, ნ. ჩოგოვაძისა და ამ წერილის ავტორისაგან, გაიკეთა და წარმოებაში დანერგა სახარატო-საინსტრუმენტო კარადა, რომელშიც ინახება ხარატისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი და ხელსაწყო-სამარაჯი. ასეთმა „სახარატო-საინსტრუმენტო კარადამ“ დიდად შეუწყო ხელი ხარატების სამუშაო დროის შემჭიდროებას, მათი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ კარადის გამოყენების თაობაზე ჩვენმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ორი საინფორმაციო წერილი და პლაკატი, რომლებიც დაგზავნეს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ინდუსტრიულ ცენტრში.

მიღებულია მრავალი შეკითხვა და შუამდგომლობა, რომ დახმარება გაგიწიოთ სახარატო-საინსტრუმენტო კარადების გაკეთებასა და დანერგვაში მოსკოვის, ხარკოვის, მინსკის, სვერდლოვსკის, ბაქოს, ავრეთვე ქუთაისის, ერევნის და მთელი რიგი სხვა ქალაქების საწარმოთა კოლექტივებს. ამ შეკითხვების სამრავლის გამო საჭიროდ ვიცნეთ გამოგვეშვა სათანადო ბროშურები, რომლებიც ყველა დაინტერესებულ საწარმოს გავუგზავნეთ.

ახლა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის მეცნიერი მუშაკები ქარხნის ინეინრებთან ერთად მუშაობენ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისათვის. გოგორწყვილების დასაყენებელი დერძის ამ ნაწილის გამძლეობის ამაღლებაზე. სადაც ამ გოგორწყვილების დამაგრება ხდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წარმოების მუშაკებთან თანამეგობრობის გზით ჩვენ მას გადაწყვეტას წარნატებით შეგძლებთ.

პ. ავაქოვი,
ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინეინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი. სურათზე: პროფ. ა. ცაგარელი (მარჯვნივ) და გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქ. ნუცუბიძე მუშაობენ მონოგრაფიულ მუზეუმში.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში...

მარგანეცის რაციონალურად გადამუშავებისათვის

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა რ. აგლაძემ განაცხადა:

— ჭიათურის საბადოში მადნის ამოღება მკვეთრად გაიზარდა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ჭიათურელმა მაღაროელებმა გადაჭარბებით შეასრულეს. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ამოღებულ იქნა 54 პროცენტით მეტი მადანი. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მარგანეცის მადნის მოპოვების შემდგომი ზრდა. 1960 წელს ამოღებულ იქნება 50 პროცენტით მეტი მადანი, ვიდრე 1955 წელს.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში მარგანეცის მადნის გადამამუშავებელ ზესტაფონის ქარხანაში ნავარაუდევია პროდუქციის ზრდა თითქმის ორჯერ. ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდება — 25 პროცენტით. განსაკუთრებით გაიზრდება ელექტროლიზური წესით მიღებული მეტალური მანგანუმის წარმოება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანი მარგანეცის მრეწველობაში. უნდა აშენდეს საგალერეო ფაბრიკა, გადაწყვეტილია ავითვისოთ ე. წ. კალიუმის პერმანგანატის წარმოება. ეს წარმოება განხორციელდება სრულიად ახალი ტექნოლოგიით, რომელიც დამუშავებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.

მადნის მოპოვების ზრდასთან ერთად აუცილებელია ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მისი ამოღებისა და გამდიდრების მეთოდები.

მანგანუმის სხვადასხვა სახის შენადნობების ღირებულების და ელექტროენერგიის სათანადო ხვედრითი ხარჯვის შედარება ცხადყოფს, რომ რაც მეტი მადანი გადამუშავდება ადგილზე და მარგანეცის ვატანა რესპუბლიკიდან იწარმოებს მაღალი შემცველობის შენადნობისა და სუფთა ელექტროლიზური ლითონის სახით, მით უფრო მეტი მოგება ექნება საბჭოთა სახელმწიფოს.

ჩვენში განსაკუთრებით პერსპექტიულია ელექტროლიზური მანგანუმის წარმოება.

აგრეთვე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჭიათურის მაღალკაჟბადიანი მადნების უფრო ფართოდ გამოყენება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სილიკომანგანუმის მისაღებად. ამ შენადნობის მისაღებად გამოიყენება არა მარტო მარგანეცი, არამედ ჭიათურის მადანში დიდი რაოდენობით შემავალი კაჟბადიც.

ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში შესაძლებელს გახდის ამჟამად სეზონური დატვირთვით მომუშავე ზესტაფონის ქარხნის სრულ დატვირთვას.

საქართველოს ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა უკანასკნელ წლებში შეასრულეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები მარგანეცის მეტალურგიული გამოყენების საკითხებზე. ამ საკითხთა შორის არის შრომები მანგანუმიანი თუჯების, მანგანუმის ორკომპონენტიანი და სამკომპონენტიანი შენადნობების, მანგანუმიანი სასუქების, კონცენტრატების და ალუმინატის, ბარიუმის, ნატრიუმის და ამონიუმის პერმანგანატისა და მანგანუმის სულფიდის და კომპლექსნაერთების მიღების საკითხებზე. დიდი წარმატებაა მიღწეული ღარიბი მადნების გამდიდრების საქმეში. კერძოდ აღსანიშნავია უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში კარბონატული მადნის დანერგვა გადასამუშავებელი თუჯისა და ფეროშენადნობის წარმოებაში. საინტერესო სამუშაოა შესრულებული მანგანუმის ნაერთებზე მაღალი ენერგიის გამოსხივების მოქმედების შესწავლის დარგში.

აღსანიშნავია მჭიდრო თანამეგობრობა, რომელიც არსებობს მარგანეცის წარმოების მუშაკთა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სათანადო სპეციალობის ლაბორატორიების და კათედრების კოლექტივებს შორის. ამ შემოქმედებითს შრომაში აქტიურად მონაწილეობს მეტალურგიულ საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის კოლექტივი. ამ თანამეგობრობამ უკვე მოგვცა გარკვეული ნაყოფი და ექვი არ არის, რომ იგი მომავალშიც დაგვეხმარება იმ დიდი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე პარტიის XX ყრილობის მიერ.

რადიაქტიური იზოტოპები

უკანასკნელ დროს რადიაქტიურმა იზოტოპებმა დიდი გამოყენება ჰპოვეს როგორც მეცნიერულ გამოკვლევებში, ისე საწარმოო პროცესების კონტროლის საქმეში. აღნიშნული იზოტოპები ხასიათდებიან განსაზღვრული გამოსხივების ენერგიით და სიცოცხლის ხანგრძლივობით. მათს აღმოსაჩენად და სარეგისტრაციოდ ჩვეულებრივ იყენებენ სპეციალურ მრიცხველებს, ან ფოტოფირებს და საიონიზაციო კამერებს.

რადიაქტიური იზოტოპებით შეიძლება დავნიშნოთ გამოსაკვლევი ნივთიერება, რისთვისაც მასში უნდა შევიყვანოთ ამა თუ იმ რადიაქტიური ელემენტის ატომები. ასეთ დანიშნულ ანუ ნიშანდებულ ნივთიერებას ეწოდება გამოსხივების თვისება და ამ ნიშნით მას ადვილად გავარჩევთ სხვა ნივთიერებათაგან. მაშასადამე, თუ ნიშანდებული ატომებით დანიშნული ნივთიერება შევიყვანეთ გამოსაკვლევ ნივთიერებაში, ადამიანის ან ცხოველის სხეულში, მცენარეში და ა. შ., ჩვენ საშუალება გვეძლევა თვალყური ვადევნოთ მის გადანაცვლებას, განაწილებას, გამოყოფას, ზუსტად გამოვარკვიოთ მის მიერ გავლილი გზა და მოძრაობის სიჩქარე, აგრეთვე ნიმუშში მიმდინარე პროცესები, მასში შეყვანილი რადიაქტიური ნივთიერების სიდიდე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნიმუშში შეყვანილი რადიაქტიური იზოტოპების წონითი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მის თვისებებზე გავლენას არ ახდენს. მაგრამ ამასთანავე მათი აღმოჩენა ყველგან შეიძლება, — აირში, სითხეში, მყარ სხეულში. ისინი ყოველთვის იტყობინებიან თავის ადგილმდებარეობას როგორც მოძრაობის, ისე გაჩერების დროს, ამასთანავე ახდენენ მიმდინარე პროცესების ერთგვარ დაზვერვას. მოვიყვანოთ მაგალითები.

ბრძმედებში რადიაქტიურ იზოტოპებს შეუძლიათ სიგნალი მისცენ ცეცხლგამძლე წყობის გაცვეთის შესახებ. ცეცხლგამძლე წყობის ამოწვა-გაცვეთის გაგება აქამდე მეტად ძნელი იყო. ამასთან თუ იგი დროზე არ იქნა შემჩნეული და არ ჩატარდა გამაფრთხილებელი რემონტი, შეიძლება მნიშვნელოვანი ავარია მოხდეს. დღეს სათანადო კონტროლი ხდება კობალტის რადიაქტიური იზოტოპის საშუალებით. უკანასკნელი თავსდება ბრძმედის აგებისა თუ კაპიტალური შეკეთების დროს ცეცხლგამძლე წყობის სხვადასხვა ადგილას. თუ ცეცხლგამძლე აგური იმდენად ამოიწვა, რომ თუჯში გადნა კობალტის პაწია ნაწილაკი, მრიცხველი მაუსვე მოგვცემს სათანადო სიგნალს, და ამის მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნას ბრძმედის გაჩერებისა და შეკეთების აუცილებლობა.

რადიაქტიური იზოტოპების გამოსხივებას ახასიათებს სხვადასხვა ნივთიერებებში ღრმად შეღწევის უნარი. ამ თვისებით ისარგებლეს მეტალურგებმა ლითონის ნაკეთობათა „გასაშუქებლად“ დაახლოებით ისე, როგორც ეს ჩვეულებრივი ზორზორი რენტგენული აპარატი ხდება. ამ გზით საშუალება ეძლევათ ლითონის ნაწარმში გამოამეღავნონ ისეთი დეფექტები, როგორიც არის ნიყარები, ბზარები და სხვ., რომლებიც კარგად ჩანს ფოტოფირზე და რომელთა წინასწარ აღმოჩენა წინათ შეუძლებელი იყო.

ნიშანდებული ატომების საშუალებით შეიძლება ცუდი ფოლადის მიღების გამომწვევი მიზეზის (წყაროს) აღმოჩენა. როგორც ცნობილია, ფოლადისათვის გოგირდი მეტად მავნე მინარევად ითვლება. იმის გამოსარკვევად, თუ გოგირდი საიდან ჩნდება ფოლადში, გოგირდის რადიაქტიური იზოტოპები შეიყვანეს სხვადასხვა ნედლეულში, რომლებიც ფოლადის გამოდნობისას იხმარება. აღმოჩნდა, რომ კოქსში შემავალი გოგირდი არაფერ შუაშია, — იგი ფოლადს თითქმის არ აჭუჭყიანებს; მთავარი „დამნაშავეა“ ის გოგირდი, რომელიც ფოლადში მადნიდან ხვდება. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

რადიაქტიური გამოსხივების გამოყენებამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ლითონის ჩქაროსნული ჭრის დარგში. თუ საკრისი დამზადებულია შენადნობიდან, სადაც შეიყვანილია რადიაქტიური ელემენტი, ლითონის ჭრის დროს ბურბუშელა თან წაიღებს მჭრელი იარაღის რადიაქტიური მასალის მეტისმეტად მცირე ზრეს, რომლის გაზომვა შეიძლება მხოლოდ ბურბუშელას რადიაქტივობის გაზომვით. ამ გზით დადგენილ იქნა საკრისის გაცვეთა ჭრის სხვადასხვა სიჩქარისას, აგრეთვე გაცვეთაზე ტემპერატურის გავლენა და სხვ.

რადიაქტიურ იზოტოპებს იყენებენ აგრეთვე მანქანათა მოხახუნე ნაწილების გაცვეთის შესასწავლად, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანათა მუშაობის გახანგრძლივების საქმეში.

რადიაქტიური იზოტოპები დიდ დახმარებას გვიწევს მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების არსის გარკვევაში. აქამდე ქიმიკოსებმა არ იცოდნენ, თუ რა გზით, რა საფეხურებით ხდება კაუჩუკის რეზინად გარდაქმნა. ამჟამად გოგირდის რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით შესწავლილია გოგირდის მოძრაობა მავულკანიზებელ ნივთიერებებსა და ვულკანიზაციის დამაჩქარებლებში.

სახალხო მეურნეობის წინაშე დიდ პერსპექტივებს შლის რადიაქტიური ქიმია, რომელიც სწავლობს ნივთიერებათა ქიმიურ გარდაქმნებს რადიაქტიურ გამოსხივებათა მოქმედებით და მონაწილეობით.

ფართო გამოყენება მოიპოვა რადიაქტიურმა იზოტოპებმა სოფლის მეურნეობაში. ეს წელზე მეტია, რაც გამეფებული იყო შეხედულება თითქოს მცენარეში ნახშირბადი ხდება ფოტოსინთეზის პროცესში ჰაერის ნახშირორჟანგისაგან ფოთლების მეშვეობით. ამჟამად გაირკვეულია, რომ მცენარის მიერ ნახშირბადის შეთვისება ხდება არა მარტო ჰაერიდან, არამედ აგრეთვე ნიადაგიდან, ფესვების მეობებით.

რადიაქტიური ფოსფორის გამოყენებით გამოიკვლა, რომ ნიადაგიდან ფოსფორი გადადის თესლში, სადაც იგი მონაწილეობას იღებს მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებში, აჩქარებს რთულ ორგანულ ნივთიერებათა უფრო მარტივ ნივთიერებად გარდაქმნას, და ამით—მცენარის ზრდასა და განვითარებას. აქედან დასკვნა: ფოსფორის სასუქის შეტანა საჭიროა რიგებში, თესლის ახლოს და არა ხნულში.

მედიცინაში მიმდინარეობს მეტად საინტერესო დაკვირვებანი ცოცხალ ორგანიზმში შეყვანილ საკვებზე, სამკურნალო ნივთიერებებზე, საწამლავებზე, დაავადების გამომწვევ მიკრობებზე, ტვინის ქსოვილში ნივთიერებათა გაცვლის სიჩქარეზე, ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ ქიმიურ პროცესებზე, რომელთა შესწავლა აქამდე არსებული მეთოდებით შეუძლებელი ან მეტისმეტად ძნელი იყო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რადიაქტიური იზოტოპების გამოსხივება წარმოადგენს სხვადასხვა ნივთიერებებზე ზემოქმედების და მეცნიერული კვლევა-ძიების მძლავრ იარაღს. ამ მიმართულებით მეტად ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ საინტერესო გამოკვლევებს დიდ მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ძნელია გადაფასება ატომური ენერგიის ამ მიმართულებით გამოყენების უდიდესი მნიშვნელობისა. რადიაქტიური იზოტოპები სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგა და ამ სამსახურის მომავალი პერსპექტივები განუსაზღვრელია.

პროფესორი ვ. კაკაბაძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

დაიხურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია

სტოკჰოლმი, 9 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის 9 აპრილის დილის პლენარულ სხდომაზე, რომელიც ეოზე და ფროტა მორეირას (ბრაზილია) თავმჯდომარეობდა, გრძელდებოდა დისკუსია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა ალბანეთის სახალხო კრების დეპუტატმა მედარ შტიულამ. ორატორმა განაცხადა, რომ ალბანელი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობით, და წინადადება შეიტანა გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს მიმართვა. რომელიც მოუწოდებს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებს მიაღწიონ შეთანხმებას განიარაღების შესახებ.

არმატრონგმა (ირლანდია) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გამალებული შეიარაღება, რომელიც გრძელდება, იწვევს გაღატაკებას და ომს, და რომ საჭიროა ხელი შეეშუოთ ხალხთა შორის კავშირურთიერთობის განვითარებას. ამედი უნდა ვიქონიოთ, თქვა არმატრონგმა, რომ ბ-ნ ბულგანინისა და ბ-ნ ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს ინგლისში მოჰყვება ბედნიერი შედეგები მშვიდობის საქმისათვის.

პაკისტანის წარმომადგენლის ზაჰირუდინის სიტყვა შეიცავდა მოწოდებას, რომ განაღიდეს ბრძოლა კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის. მან განაცხადა, რომ პაკისტანის ხალხი სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად ერთსულოვნად ესწრაფვის მშვიდობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ხან სერ იამ ილაპარაკა სძლრეთ კორეის მდგომარეობაზე, სადაც ლისინმანელები ადიდებენ შეიარაღებულ ძალებს და გამოაცხადეს, რომ განზრახული აქვთ აღკუთვნან ახალი დივიზიები „უახლესი იარაღით, მათ შორის, ატომური იარაღით“. ჩვენ მტკიცედ მივითხოვთ, განაგრძო ორატორმა, რომ გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები კორეიდან, შეწყდეს გამალებული შეიარაღება სამხრეთ კორეაში, გაუქმდეს სამხედრო შეთანხმებანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ი ინ მანის ხროვას შორის, მოწვეულ იქნას საერთაშორისო თათბირი დაინტერესებული ქვეყნების ფართო მონაწილეობით კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

რონალდ კენნონი (ინგლისი) შეეხო იმას, რომ სულ უფრო იზრდება ასიგნობანი გამალებული შეიარაღებისათვის ინგლისში, რაც მკვეთრად აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრებას დონეს, იწვევს ეკონომიკის მოშლას, მწვავე ფინანსურ სიძნელეებს, რაც დამახასიათებელია ამჟამად ინგლისისათვის. მან მოითხოვა დამყარდეს თანამშრომლობა და კონტაქტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

კოტელმა (საფრანგეთი) ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა უნდობლობისა და ეჭვების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ გაფართოვდეს მშვიდობისათვის ბრძოლა. მან თქვა, რომ დადებითი მნიშვნელობა აქვს უშუალო კონტაქტებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს შორის, და შეეხო საფრანგეთის მთავრობის მეთაურისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის მომავალ გამგზავრებას მოსკოვში. მან იმედი გამოთქვა, რომ მათი მოლაპარაკება საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სანჩეს არკასი (სპანეთი), ფინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვაინე მელტი, კრუტიცისა და კოლმენის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, პროფესორი რალია (რუმინეთი), ბრაზილიის პარლამენტის დეპუტატი იონას ბაინესი, მწერალი ბ. ალიავი (ირანი), ს. ბიზენშტადტი (ისრაელი), ფან ვან ჩუნგი (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა).

სესიის 9 აპრილის საღამოს სხდომა გაიხსნა ჩენ შუ-ტუნის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) თავმჯდომარეობით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა დანგენ-ჯონსმა წაიკითხა სია ახალი მისალმებისა, რომლებიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გამოუგზავნეს სხვადასხვა პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა და რელიგიურმა ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მეცნიერებს, კულტურის წარმომადგენლებმა.

შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ა. ანდრავიასმა (სუდანი), აჰმედ ბენ მილადმა (ტუნისი), ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ეეენი კოტონმა, ჰაშემ ელ ჰუსეინმა (ლიბანი), ანტონიო ვისტუერმა (კუბა), აბდელ რაჰმან ელ შარკაუიმ (ეგვიპტე), ფრენკ ჰარტლიმ (ავსტრალია) და სხვებმა.

სტოკჰოლმი, 10 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის საბოლოო სხდომა, რომელიც გაიხსნა 9 აპრილს 23 საათზე ადგილობრივი დროით ემილიო გარსია იტურასპეს (არგენტინა) თავმჯდომარეობით, მიეძღვნა კომისიების მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტის პროექტების განხილვასა და მიღებას. სხდომის დასაწყისში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივნის ვინსენტ დანკენ ჯონსის წინადადებით დაიწყეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახალ წევრთა სია.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს შემდეგი დოკუმენტები: დეპეშა „აერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტისადმი, მოწოდება მსოფლიო სახოგადოებრივი აზრისადმი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის დეკლარაცია ყველა მშვიდობასმოყვარე ძალებთან თანამშრომლობის შესახებ, დეკლარაცია ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე, დეკლარაცია ატომის ენერგიის საკითხებზე, რეკომენდაციები მშვიდობის მომხრეთა ეროვნული მოძრაობებისადმი. გარდა ამისა, სხდომამ მოიწონა საგანგებო სესიის ბერძენ და ინგლისელ მონაწილეთა ერთობლივი განცხადება, რომელიც შეიცავს მოწოდებას მხარი დაუჭირონ კვიპროსის მოსახლეობის მოთხოვნას მისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების შესახებ. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა მთელი მსოფლიოს ქალებსა და მამაკაცებს მხარი დაუჭირონ ამ მოთხოვნას და, ამრიგად, ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

სესიის დახურვისას იტურასპემ აღნიშნა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა თანამშრომლობის სულისკვეთების განმტკიცება და მათი თვალსაზრისების დაახლოება, რაც ამ ბოლო დროს მოხდა. საჭიროა გამოვნახოთ გზები, თქვა მან, ამ თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის. ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი სურვილი — თავიდან ავიცილოთ ომის საშიშროებანი და გამალებული შეიარაღება, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობით მივაღწევთ ჩვენს მიზანს. ჩვენ გამოვაცხადეთ ახალი ეტაპის დაწყება ჩვენს მოძრაობაში, რომელსაც მივყავართ ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის დამყარებისაკენ.

სესიის მონაწილენი მჭეხარე ტაშით მიესალმნენ იტურასპეს საბოლოო სიტყვებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესია დაიხურა.

სტოკჰოლმი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიამ. საბოლოო სხდომაზე სესიის მონაწილეებმა მიიღეს 6 დოკუმენტი. პირველ დოკუმენტში — მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისადმი მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნულია კაცობრიობის მისწრაფება განიარაღებისადმი.

„...დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში მრავალი წლის დაძაბულობის შემდეგ, — ნათქვამია მოწოდებაში, — შეიქმნა ახალი ატმოსფერო. მათი პოზიციები განიარაღების საკითხში დაახლოვდა. ამიერიდან მათ შორის თანხმობის მიღწევა დამოკიდებულია შერიგებისაკენ მიმართულ საერთო ღონისძიებაზე“.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საჭიროა ყველა ქვეყნის მიიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება საერთო შეთანხმებით დაწესებულ დონემდე, აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

ყოველი პროგრესი განიარაღების დარგში, ნათქვამია დოკუმენტში, ხელს შეუწყობს არა მარტო იმ პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მშვიდობიანად გადაჭრილი, როგორც, მაგალითად, გერმანიის პრობლემა, არამედ აგრეთვე ყველა უთანხმოების მოწესრიგებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას დედამიწის მთელ რიგ რაიონებში.

ყოველი პროგრესი განიარაღების დარგში შეამსუბუქებს სამხედრო ბიუჯეტების ტვირთს, რომელიც აწევს სახელმწიფოების ეკონომიკას, და აამაღლებს ცხოვრების საერთო დონეს.

სესიის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მოუწოდებენ განიარაღების ქვეკომიტეტს გაამართლოს ასეულ მილიონობით ადამიანის იმედები.

„მთელი მსოფლიო, — ნათქვამია დეპეშაში, — მოელის პირველ ღონისძიებებს განიარაღების დარგში. ასეთი ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ხალხთა და მთავრობათა ურთიერთნდობის განმტკიცებას, ისინი შესაძლებელს გახდიან ნამდვილ საერთაშორისო თანამშრომლობას“.

მესამე დოკუმენტი — დეკლარაცია — მიძღვნილია იმისადმი, რომ მშვიდობის დაცვის მოძრაობასა და ყველა პაციფისტურ ორგანიზაციას, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს და ყველა მორალურ ძალებს, სულ სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენელ მოღვაწეებს შორის დამყარდეს ეფექტიანი ურთიერთობა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დეკლარაციაში ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე (მეოთხე დოკუმენტში) ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გამალებული შეიარაღება ამჟამად თავარი დაბრკოლებაა საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

„ხალხებმა რომ მიაღწიონ მთავრობების საყოველთაო შეთანხმებას განიარაღების შესახებ, — ნათქვამია დოკუმენტში, — ამას ხელსაყრელი შედეგები მოჰყვებოდა ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ამრიგად განთავისუფლებული უზარმაზარი რესურსები გამოყენებული იქნებოდა სიღატაკის აღმოსაფხვრელად და ყველა ადამიანის ცხოვრების დონის ასამაღლებლად“.

დეკლარაცია ატომის ენერგიის საკითხებზე მოითხოვს ყველა სახეობის ატომგულის იარაღის აკრძალვას.

„მთელი მსოფლიოს ხალხებს, — ნათქვამია დეკლარაციაში, — მხურვალედ სურთ ქმედითი შეთანხმება მთავრობებს შორის ამ საკითხზე.

საცდელ აფეთქებათა შეწყვეტი იქნებოდა დაუყოვნებლივ განსახორციელებელი ღონისძიება, რაზეც შეიძლება მიღწეულ იქნეს შეთანხმება“.

დეკლარაცია მოუწოდებს ვადაჭრით წაახალისონ კულტურული გაცვლა სახელმწიფოებს შორის, მეცნიერთა საერთაშორისო შეხვედრები, იმის მსგავსი, რომელიც მოხდა ჟენევაში, არსებული საერთაშორისო საძეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლობა ატომის ენერგიის საკითხებზე.

„ყველა ხალხი უნდა ცდილობდეს, — ნათქვამია დეკლარაციაში, — რომ აღმშენებლობითი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება სინამდვილე გახდეს შიშისაგან განთავისუფლებულ მსოფლიოში“.

მეექვსე დოკუმენტი — რეკომენდაციები მშვიდობის მომხრეთა ეროვნული მოძრაობებისადმი — შეიცავს მოწოდებას გააჩაღონ ბრძოლა განიარაღებისათვის.

კიევიდან გაემგზავრა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ჟ. ერლანდერი

კიევი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს კიევიდან ლენინგრადში გაეგზავნენ შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მისი თანმხლები პირები.

შვეიცარიის საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი გაიცილეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა მ. ს. ჯერეჩუხამ და ი. ს. სენინმა, უკრაინის სსრ მინისტრებმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, ჟურნალისტებმა.

შვეიცარიის პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერის გაცილების დროს შესრულებულ იქნა შვეიცარიის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

გამგზავრების წინ ტ. ერლანდერმა, მიმართა რა გამცილებელ პირებს, თქვა:

— ძვირფასო მეგობრებო!

იმ მონენტში, როცა შვეიცარიის მთავრობის დელეგაცია ტოვებს კიევსა და უკრაინას, მინდა გულწრფელი მადლობა გამოვთქვა იმ ზრუნვისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენდამი უკრაინის დედაქალაქში ჩვენი ყოფნის დროს.

ის პატივისცემა, რომელსაც თქვენი რესპუბლიკისადმი ვგრძნობთ, ამ ორ დღეში კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენ აღტაცებული ვართ იმით, თუ რა შესანიშნავად იყენებთ თქვენს მდიდარ რესურსებს და სახალხო მეურნეობის შესაძლებლობებს.

როცა შინ ჩავალთ, ვიტყვით ყველაფერს, რაც აქ ვნახეთ, ვიტყვით, თუ როგორია თქვენი გიგანტური შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი.

სულით და გულით ვუსურვებთ უკრაინელ ხალხს ყოველგვარ წარმატებებს მშვიდობიან შრომაში.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ საპასუხო სიტყვაში თქვა, რომ უკრაინელი ხალხი აგრეთვე გულწრფელად უსურვებს დიდ წარმატებებს შვეიცარიის ხალხს, შვეიცარიის მთავრობას, რომელიც განუზრელად ახორციელებს თავის ტრადიციულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკას.

ნ. ტ. კალჩენკომ ზედნიერი მგზავრობა უსურვა ტ. ერლანდერსა და მის თანმხლებ პირებს.

სამშობლოში გაემგზავრა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ჟაგე ერლანდერი

ლენინგრადი, 11 აპრილი. (საკდესი). დღეს სამშობლოში გაემგზავრნენ შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰეფლუბერი და მათი თანმხლები პირები, რომლებიც სტუმრად იყვნენ სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ლენინგრადის აეროპორტზე შვეიცარიის მთავრობის მეთაური გაიცილეს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ი. ა. პუჩკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა, პრესის წარმომადგენლებმა. შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი გაიცილეს აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვმა, შვეიცარის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში რ. სულმანმა, რომლებიც მას ახლდნენ საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს, და შვეიცარის საელჩოს თანამშრომლებმა.

ლენინგრადის აეროპორტი მორთული იყო შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. გაცილების დროს შეასრულეს შვეიცარიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა აეროდრომზე წარმოთქვა სიტყვა. მან თქვა:

— ვტოვებ რა ლენინგრადს, მსურს მხურვალე მადლობა გიძღვნათ სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენ ცოტა დრო გვქონდა, მაგრამ მაინც შესაძლებლობა „მოგვეცა დავრწმუნებულიყავით, რაოდენ ლამაზი და დიადია თქვენი ქალაქი. თქვენს საშუალება მოგვეცით წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ წყდება დანამედროვე დიდი ქალაქის წინაშე მდგომი პრობლემები.

ვტოვებთ რა დღეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, ჩვენ გვინდა გამოვთქვათ კიდევ ერთი მადლობა — მადლობა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, რომლის ინიციატივითაც განხორციელდა ეს მოგზაურობა, და ყველა იმათადმი, ვინც იგი საინტერესო და სასიამოვნო გახადა. ყველგან საბჭოთა ქვეყანაში ჩვენდამი გამოიჩინეს გულითადობა და მეგობრობა.

ჩვენი აქ ხანმოკლე ყოფნის მიუხედავად, ჩვენ მაინც მივიღეთ წარმოდგენა, რაოდენ მდიდარია თქვენი ძლიერი სახელმწიფო. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მიზანსწრაფულობამ, რომლითაც იყენებენ ქვეყნის გიგანტურ რესურსებს. ჩვენ ვნახეთ ინტენსიური მშენებლობა მომავლისათვის. ჩვენზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა ტექნიკის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებამ, რაც აქ ემსახურება კაცობრიობის პროგრესს. ჩვენ ვნახეთ, რომ მოკლე ხანში საბჭოთა კავშირში აღდგენილია რაც დანგრეული იყო ომით.

გამოთხოვების მომენტში ჩვენ გვინდა საბჭოთა კავშირის ხალხს ვუსურვოთ მშვიდობა და წარმატებითი ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისათვის სხვა ხალხებთან თანამშრომლობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

კიდევ გულითადი მადლობა!

ნ. ი. სმირნოვმა ლენინგრადის ყველა მცხოვრების დავალებით შვეიცარიის პრემიერ-მინისტრს უსურვა მშვიდობით დაბრუნება სამშობლოში და სთხოვა მას გულწრფელი მეგობრული სალამი გადასცეს შვეიდ ხალხს.

...უკანასკნელი გამომშვიდობება. თვითმფრინავები ჰაერში ადიან, წრეს უვლიან აეროდრომის თავზე და კურსს იღებენ სტოკჰოლმისაკენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიაზე

სსრ კავშირის წარმომადგენლის ი. გ. კაბანოვის გამოსვლა

ჟენევა, 10 აპრილი. (საკდესი). გუშინ ორი დღის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიამ. საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ იუგოსლავიის, უნგრეთის, ნიდერლანდის, ინგლისის. ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა დამსწრეთ მოაგონა, რომ კომისიის ამოცანაა განაახორციელოს შეთანხმებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ევროპაში ეკონომიური საქმიანობის დონის ამაღლება, ეკონომიური ურთიერთობის დაცვა და განმტკიცება როგორც ევროპის ქვეყნებს შორის, ისე ევროპის ქვეყნებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, განაცხადა ი. გ. კაბანოვმა, გაფართოვდა იმ საკითხების წრე, რომლებზეც მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისია; მისი საქმიანობა მიუახლოვდა პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც ევროპის ქვეყნების წინაშე დგას მათი სამეურნეო განვითარებისა და ეკონომიური ურთიერთობის დარგში.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია იმ დადებითს ცვლილებებთან, რომლებიც ამ ბოლო დროს საერთაშორისო ვითარებაში მოხდა. მხედველობაში მაქვს, თქვა ი. გ. კაბანოვმა, საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება და სახელმწიფოთა ურთიერთგაგებისა და ნდობის ზრდა, რაც ამჟამად ხდება.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანამშრომლობის განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე აზრთა გულახდილმა ურთიერთგაზიარებამ ხელი უნდა შეუწყოს თანხმობისა და ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღწევას. ეჭვი არ არის, რომ მეცადინეობა ამ მიმართულებით გაადიდებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის, როგორც სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანოს, როლსა და მნიშვნელობას.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს ამ დარგში, ი. გ. კაბანოვმა განაცხადა, რომ, ემყარება რა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, სსრ კავშირი განუზრელად ახორციელებს ყველა ქვეყანასთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას.

საბჭოთა დელეგატმა მოაგონა დამსწრეთ, რომ სსრ კავშირი, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, წინაადმდეგ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ლოზუნგისა „მოდით შევიარაღდეთ!“, აყენებს ლოზუნგს „მოდით ვივაჭროთ!“

ამჟამად, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, სსრ კავშირი ვაჭრობს 60-ზე მეტ სახელმწიფოსთან. წლითიწლობით იზრდება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მოცულობა. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ოდენობამ 1955 წელს 25 მილიარდ მანეთს გადააჭარბა, გადიდდა რა თითქმის ერთიორად 1950 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი აფართოებს თავის ვაჭრობას როგორც ევროპის ქვეყნებთან, ისე სხვა რაიონების ქვეყნებთანაც. სსრ კავშირი მიმწოდებელია სულ სხვადასხვაგვარი საქონლისა, რომლებშიც შედის მრავალი სახეობის მოწყობილობა და მანქანები, მათ შორის მოწყობილობა მთელი საწარმოებისათვის. რა თქმა უნდა, სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების სავაჭრო და სხვა ფორმის ეკონომიური ურთიერთობა ხორციელდება ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

ი. გ. კაბანოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მთელ რიგ ქვეყნებს კრედიტის წესით აწვდის სამრეწველო მოწყობილობას, არ უკავშირებს რა ამას რაიმე პოლიტიკურ მოთხოვნას. საბჭოთა კავშირი მოწყობილობას აწვდის და ტექნიკურ დახმარებას უწევს საწარმოთა მშენებლობაში პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, ალბანეთს, იუგოსლავიას, აგრეთვე მთელ რიგ არაევროპულ ქვეყნებს: ჩინეთს, ინდოეთს, ბირმას, ავღანეთს, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ ქვეყნებში შენდება 500-ზე მეტი საწარმო და ცალკეული საამქრო. სსრ კავშირმა სხვადასხვა სახელმწიფოს მისცა 21 მილიარდ მანეთზე მეტი კრედიტი.

ჩვენ ეცდილობთ, განაცხადა საბჭოთა დელეგატმა, გავაფართოოთ სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანასთან. ევროპის ბევრ ქვეყანასადან, მათ შორის ფინეთთან, ნორვეგიასთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასთან, ავსტრიასთან, ისლანდიასთან, სსრ კავშირი ეწევა ვაჭრობას საჭონლის ურთიერთმიწოდების შესახებ ერთწლიანი და გრძელვადიანი შეთანხმებების საფუძველზე.

შეეხო რა ბელგიის წარმომადგენლის გამოსვლას, ი. გ. კაბანოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ეთანხმება მის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ საჭიროა გაფართოვდეს ვაჭრობა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის, აგრეთვე მის განცხადებას, რომ უსაფუძვლოა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებული პესიმისტური შეხედულებანი ამ ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ანალიზი გაუკეთა საკითხს უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის განვითარების ეკონომიური წანაძღვრების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ამ განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მარტო საბჭოთა კავშირზე, არამედ აგრეთვე დასავლეთელ პარტნიორთა ნამდვილ განზრახვებზე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, თქვა მან, მისი ეროვნული ეკონომიკის განვითარება და საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები განსაზღვრულია უახლოესი ხუთი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით.

ჩვენ ვემყარებით იმას, განაგრძო მან, რომ სხვა ქვეყნებთან, კერძოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ხელსაყრელია ორივე მხარისათვის და რომ არის ობიექტური წანაძღვრები ამ ურთიერთობის შემდგომი ზრდისათვის.

მეორე მხრივ, აღნიშნა საბჭოთა დელეგატმა, თუ მივმართავთ დასავლეთის ქვეყნების თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ მათ წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში წარმოება რამდენადმე გადიდდა, დასახულია მთელი რიგი სერიოზული ეკონომიური პრობლემები, დაკავშირებული ეკონომიკის მერყეობასა და საგარეო ვაჭრობაში სიძნელეთა გაძლიერებასთან.

ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის, ისევე როგორც ეკონომიური ურთიერთობის სხვა ფორმების გაფართოებამ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, არ შეიძლება დადებითი გავლენა არ მოახდინოს ეკონომიურ მდგომარეობაზე.

რათა ხელი შეუწყოს ევროპის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, განაცხადა შემდეგ ი. გ. კაბანოვმა, კომისიის ამ სესიაზე შემოაქვს წინადადებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ამ ამოცანების შესრულებას.

ამ წინადადებათაგან პირველი ითვალისწინებს მომზადდეს სრულიად ევროპის შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ. მეორე წინადადება შეეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კონტაქტების განვითარებას. საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს აგრეთვე წინადადება, რომ ევროპის ქვეყნებმა გააერთიანონ ღონისძიებანი მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

ეს არის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია განმტკიცდეს და განვითარდეს ევროპის ყველა ქვეყნის თანამშრომლობა მათი ეკონომიური განვითარების ინტერესებისათვის. დასასრულ ი. გ. კაბანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა ურთიერთგაგებისა და ნდობის ზრდას, მტკიცე და მყარი მშვიდობის მიღწევას ევროპაში.

დღეს სესია მუშაობას განაგრძობს.

სპორტის სამყარო

ბიბლიოთეკა

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი.

ამსტერდამი, 10 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირზე გათამაშდა მე-7 და მე-8 ტურები.

ნეშვიდე ტურში ბრონშტეინი და სმისლოვი 24-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. პირველი გამარჯვება მოიპოვა პეტროსიანმა, რომელმაც 37-ე სვლაზე მოუგო ფილიპს. სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

8 აპრილს ტურნირზე დასვენების დღე იყო. 9 აპრილს გაიმართა მე-8 ტური.

მშვიდი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ფილიპ-კერესისა და პეტროსიან-სმისლოვის პარტიები. დანარჩენი სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის მოკრივეთა შეხვედრა

პარიზი, 10 აპრილი. (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზის საზამთრო ველოდრომზე გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ნატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 7:3. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია საფრანგეთის სპორტულ საზოგადოებრიობაში.

ახალი მსოფლიო რეკორდები ძალოსნობაში

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ამბანაგური შეხვედრები ძალოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, იტალიის, პოლონეთის, რუსეთის და უკრაინის შტანგისტები. ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის ძალოსნებმა ვ. კორეკი (დონის როსტოვი) და რ. ბაბუტდინოვმა (ნოვოსიბირსკი) ორი ხელით აწიმეს 113,5 და. 122 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ლენინგრადელი შტანგისტი ფ. ბოგდანოვსკი (ქვესაშუალო წონა). მან სამჭიდში შეაგროვა 415 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ლატვია — საქართველო

10 აპრილს თბილისის სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ დარბაზში დამთავრდა ორი მომძე რესპუბლიკის — ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ფარიკაობაში.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა. ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდმა რაპირით ბრძოლაში გაიმარჯვა 13:3, ქალთა გუნდმა — 9:7, ეფსპადრონით ბრძოლაში — 10: